დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეფორმა საქართველოში

ალექსანდრე მერაბიშვილი
დავით გელაშვილი

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში

პროექტის ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი აბაშიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ალექსანდრე მერაბიშვილი

დავით გელაშვილი

თარიღი 18.06.2018

აბსტრაქტი.

სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს კვლევას და ინფორმაციას საქართველოს საპენსიო სისტემის შესახებ, მის რეფორმირებას დაგროვებითი საპენსიო სისტემის მხრივ, აღნიშნულის გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე, მოსახლეობაზე, როგორც დადებით ეფექტს ასევე უარყოფით ზეგავლენას, ასევე განხილულია საპენსიო სისტემების სხვადასხვა ქვეყნის და მოდელის მაგალითები.

აღნიშნული გავლენის შესწავლა და მათზე დაყრდნობით საქართველოს რეალობისთვის საუკეთესო ვარიანტის შერჩევა და დანერგვა თავისი რისკების გათვალისწინებით.

კვლევა ძირითადად ჩატარდა მეორად მონაცემებზე დაყრდნობით რომელიც მოიცავს:

- მოდელების შესწავლა და გაანალიზება, სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების დამუშავება,
- რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდით: საპენსიო სისტემის რეფორმირებისთვის საქართველოს მოსახლეობის მზადყოფნის დასადგენად.
- ასევე, სხვადასხვა ქვეყნების მაგალითებს და გამოცდილებას, საპენსიო სისტემების განვითარებაში,

მნიშვნელოვანია კვლევის შედეგების სწორი და ზუსტი ანალიზი იმისათვის რომ სწორად იქნას შეფასებული საქართველოს მიმდინარე მდგომარეობა და სამომავლო შედეგები, რომლის შედეგადაც არჩეული იქნება ისეთი საპენსიო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის ღირსეულ სოციალურ პირობებს ახალგაზრდობიდან სიბერემდე.